დანართი N2

ვამტკიცებ _____

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორი
2019 წლის 16 იანვარი
N 1/05 ბრძანებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქუთაისის სამედიცინო სკოლა

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

C112

2019 წ

მუხლი 1. პირველი სამედიცინო დახმარების მიზანი

1.1.დაზარალებულის (ადამიანი, რომელიც ცუდად არის და ესაჭიროება დახმარება) სიცოცხლის გადარჩენა;
1.2.დაზარალებულის მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილება;
1.3.გამოჯანმრთელების ხელშეწყობა.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

2.1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის პროფესიულ სტუდენტებსა (შემდეგში-სტუდენტი) და თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ ექთანს მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.
2.2.თუ სტუდენტი ან თანამშრომელი ვერ ახერხებს ექთანთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექთანს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, რომლებიც ვალდებულნი არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო პუნქტთან.
2.3.თუ სტუდენტის ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, შენობაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექთანს და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. ექთანი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.
2.4.აუცილებლობის შემთხვევაში ექთანმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.
2.5.სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, ექთანმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

- საკუთარი ტელეფონის ნომერი;
- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მისამართი;
- რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდენად სერიოზულია ის;
- დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
- ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცა.

2.6.სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას ექთანი ვალდებულია პირველმა არ დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შეიძლება ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.
2.7.ექთანს თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახი. ოთახში არის ყველა საჭირო ინვენტარი.

112